

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო

საქმეზე „ალბერი და ლე კომპტი ბელგიის წინააღმდეგ“ (*Albert and Le Compte v. Belgium*)

პლენარულ სხდომაზე გადაწყვეტილების გამოსატანად სასამართლოს რეგლამენტის 48-ე მუხლის შესაბამისად ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო შეიკრიბა შემდეგ მოსამართლეთა შემადგენლობით:

ბ-ნი ჯ. ვიარდა, პრეზიდენტი,
ბ-ნი რ. რისდალი;
ბ-ნი ჯ. კრემონა;
ბ-ნი თორ ვილიალმსონი;
ბ-ნი ვ. განშოფ ვან დერ მეერში,
ქ-ნი დ. ბინდშედლერ-რობერტი,
ბ-ნი დ. ევრიგენისი,
ბ-ნი გ. ლაგერგრენი,
ბ-ნი ლ. ლისჩი,
ბ-ნი ფ. გოლცუკლუ,
ბ-ნი ფ. მატშერი,
ბ-ნი ჯ. პინეირო ფარინა,
ბ-ნი ე. გარსია დე ენტერია,
ბ-ნი ლ.-ე. პეტიტი,
ბ-ნი ბ. უოლში,
სერ ვინსენტ ევანსი,
ბ-ნი რ. მაკდონალდი,
ბ-ნი ს. რუსო,
ბ-ნი რ. ბერნჰარდტი,
ბ-ნი ჯ. გერსინგი,

აგრეთვე, რეგისტრატორი – ბ-ნი მ.-ა. ეისენი და რეგისტრატორის მოადგილე – ბ-ნი პ. პეტზოლდი.

იმსჯელა რა განმარტოებით 1982 წლის 28-30 სექტემბერსა და 1983 წლის 26-28 იანვარს,

სასამართლომ 1983 წლის 28 იანვარს გამოიტანა წინამდებარე განაჩენი.

პროცედურა

1. ალბერისა და ლე კომპტის საქმე სასამართლოს გადასცა ადამიანის უფლებათა ევროპულმა კომისიამ („კომისია“). საქმეს საფუძვლად უდევს 1975 წელსა და 1976 წელს ბელგიის ორი მოქალაქის – დოქტორი ალფრედ ალბერისა და დოქტორი ჰერმან ლე კომპტის – მიერ კომისიისთვის ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის (შემდგომში „კონვენცია“) 25-ე მუხლის შესაბამისად წარდგენილი ორი განაცხადი (№7299/75 და №7496/76). 1979 წლის 10 ივლისს კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება განაცხადების გაერთიანების შესახებ.

2. კომისიის თხოვნა სასამართლოს რეგისტრატურაში შეტანილი იქნა 1982 წლის 12 მარტს, 32-ე მუხლის 1-ლი პუნქტითა და 47-ე მუხლით დადგენილ სამი თვის ვადაში.

თხოვნა მიუთითებდა 44-ე და 48-ე მუხლებსა და ბელგიის სამეფოს დეკლარაციაზე, რომლითაც ბელგიამ აღიარა სასამართლოს სავალდებულო იურისდიქცია (46-ე მუხლი). კომისიის თხოვნა მიზნად ისახავდა, მიეღო სასამართლოს გადაწყვეტილება იმასთან დაკავშირებით, წარმოადგენდა თუ არა ბელგიის *Ordre des médecins*-ის (სამედიცინო ასოციაცია) კომპეტენტურ ორგანოებში განმცხადებლების წინააღმდეგ წარმოებული დისციპლინარული სამართალწარმოება კონვენციით გარანტირებული უფლებების, კერძოდ, კონვენციის მე-3 და მე-6 მუხლების დარღვევას.

3. პალატის შემადგენლობაში შვიდი მოსამართლე უნდა ყოფილიყო. *Ex officio* წევრების სახით პალატაში შევიდნენ ბ-ნი ვ. განშოფ ვან დერ მეერში, ბელგიის მხრიდან არჩეული მოსამართლე (კონვენციის 43-ე მუხლი), და ბ-ნი ჯ. ვიარდა, სასამართლოს პრეზიდენტი (სასამართლოს რეგლამენტის 21-ე 3 (ბ) მუხლი). 1982 წლის 26 მარტს პრეზიდენტმა რეგისტრატორის თანდასწრებით კენჭისყრით გამოავლინა პალატის დანარჩენი ხუთი მოსამართლის ვინაობა. ეს მოსამართლეები იყვნენ: ბ-ნი მ. ზეკია, ბ-ნი ჯ. კრემონა, ბ-ნი დ. ევრიგენისი, ბ-ნი რ. მაკდონალდი და ბ-ნი ჯ. გერსინგი (კონვენციის 43-ე მუხლი *in fine* და რეგლამენტის 21-ე მუხლის მე-4 პუნქტი).

4. პალატის პრეზიდენტის თანამდებობის დაკავების შემდეგ (რეგლამენტის 21-ე (5) მუხლი) ბ-ნმა ვიარდამ რეგისტრატორის მეშვეობით გამოარკვია ბელგიის მთავრობის (შემდგომში „მთავრობა“) წარმომადგენლისა და კომისიის დელეგატების მოსაზრებები შესაბამის პროცედურასთან დაკავშირებით. 1982 წლის 3 მაისს, გაითვალისწინა რა მათი თანმხვედრი განცხადებები, ბ-ნმა ვიარდამ დაადგინა, რომ არ არსებობდა მიმოხილვების წარდგენის საჭიროება; მან აგრეთვე მიუთითა, რომ ზეპირი მოსმენა 27 სექტემბერს ჩატარდებოდა.

5. 1982 წლის 28 მაისს პალატამ, რეგლამენტის 48-ე მუხლის შესაბამისად, გადაწყვიტა, იურისდიქცია პლენარული სასამართლოსთვის გადაეცა.

6. 27 აგვისტოს პრეზიდენტმა დაავალა რეგისტრატორს, კომისიისათვის ეთხოვა სასამართლოსათვის რამდენიმე დოკუმენტის წარედგინა, ხოლო მთავრობისათვის - გარკვეული ინფორმაციის მოწოდება. წარმომადგენლებმა ეს თხოვნა 8 და 27 სექტემბერს შეასრულეს.

7. ზეპირი სამართალწარმოება ჩატარდა სტრასბურგში, ადამიანის უფლებათა სახლში, 1982 წლის 27 სექტემბერს. მანამდე სასამართლომ მოსამზადებელი შეხვედრა ჩაატარა.

სასამართლოს წინაშე გამოცხადდნენ:

მთავრობის სახელით:

ბ-ნი ჯ. ნისე, იუსტიციის სამინისტროს იურიდიული მრჩეველი, წარმომადგენელი,
ბ-ნი ჯ.-მ ნელისენ გრეიდი, მრჩეველი,
ბ-ნი ჯ. პუტზეისი,
ბ-ნი ს. გეჰლენი,
“*Ordre des médecins*”-ის ადვოკატები,

ბ-ნი ფ. ვერჰეგენი, ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მრჩეველი,
ბ-ნი ფ. ვინკენბოში, ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს *secrétaire d'administration*;
მრჩეველები;

კომისიის სახელით:

ბ-ნი ჯ. სპერდუტი,
ბ-ნი მ. მელქიორი,

დელეგატები;

ბ-ნი ჯ. ბულტინკი, დოქტორი ლე კომპტის ადვოკატი კომისიის წინაშე, რომელიც რეგლამენტის 29-ე მუხლის 1-ლი პუნქტის მე-2 წინადადების თანახმად დახმარებას უწევდა დელეგატებს.

ფაქტები

I. საქმის კონკრეტული გარემოებები

ა. დოქტორი ალბერი

8. ბ-ნი ალბერი პრაქტიკოსი ექიმია. იგი დაიბადა 1908 წელს. ამჟამად ცხოვრობს მოლენბეკში. იგი ბელგიის მოქალაქეა.

9. 1974 წლის 9 აპრილის წერილით *Ordre des médecins*-ის (სამედიცინო ასოციაცია) ბრაბანტის პროვინციის საბჭომ დოქტორ ალბერს აცნობა მის მიმართ საქმის წამოწყების შესახებ; იგი გამოძახებული იქნა ბიუროს წინაშე 8 მაისს, რათა მიეცა განმარტება მის მიერ გაცემულ ცნობებთან დაკავშირებით. ამ ცნობების თანახმად იგი მუშაობისათვის უვარგისად აცხადებდა რიგ პაციენტებს. ამასთან დაკავშირებით დოქტორ ალბერს მოეთხოვა შესაბამისი პაციენტების შესახებ სამედიცინო მასალების წარდგენა.

მითითებულ დღეს განმცხადებელი გამოცხადდა პროვინციის საბჭოს ბიუროს წინაშე, რომელმაც მას აცნობა, რომ ბრალად ედებოდა ყალბი ცნობების გაცემა.

16 მაისს პროვინციის საბჭოს თავმჯდომარემ დოქტორ ალბერს გაუგზავნა დაზღვეული წერილი, რომელშიც ნათქვამი იყო:

„ძვირფასო კოლეგა,

Ordre des médecins-ის ბრაბანტის საბჭო გიწვევთ მის წინაშე გამოსაცხადებლად 1974 წლის 4 ივნისს 20 საათსა და 30 წუთზე, დე ჟამბლინ დე მექსის პალასი №32, რათა წარმოადგინოთ თქვენი დაცვა შემდეგ საჩივართან დაკავშირებით:

- მუშაობისთვის უვარგისად გამოცხადების შესახებ სხვადასხვა ცნობების გაცემის გამო, კერძოდ:

1973 წლის 26 დეკემბერს ბ. . . -სთვის,

1974 წლის 7 იანვარს თ. . . -სთვის,

1974 წლის 9 იანვარს ა. . . -სთვის,

როდესაც საკმარისად დეტალური გამოკვლევების მეშვეობით ბოლომდე არ იყავით დარწმუნებული, რომ არსებობდა მუშაობისთვის უვარგისად გამოცხადების დამასაბუთებელი პირობა, და არ გაგაჩნდათ სხენებულ პაციენტთა ავადმყოფობის ისტორიები,

ეს ფაქტები კი ხელყოფს ექიმის პროფესიის რეპუტაციას, პატიოსნებასა და ღირსებას.

საქმის მასალებისათვის 18-დან 31 მაისამდე შეგიძლიათ მიმართოთ საბჭოს ნებისმიერ სამუშაო დღეს 9.00-დან 11.30 საათამდე და 14.00-დან 17.00 საათამდე, გარდა შაბათის შუადღისა.

შეგიძლიათ ისარგებლოთ ერთი ან მეტი ადვოკატის დახმარებით.

პატივისცემით, ... “

4 ივნისს პროვინციის საბჭომ მოუსმინა დოქტორ ალბერს და ორი წლით შეუჩერა საექიმო პრაქტიკის განხორციელების უფლება. საბჭომ დაადგინა, რომ ექიმ ალბერს „არ ჩაუტარებია არავითარი სამედიცინო შემოწმება, რათა დაემტკიცებინა მუშაობისთვის უვარგისობა“, რომ მას არ შეეძლო გაეცა „რაიმე სამედიცინო დოკუმენტი, რომლითაც დაადგენდა ამგვარ მდგომარეობას“, და რომ არც მესხიერება აძლევდა ... თავის გამართლების საშუალებას“. საბჭომ ჩათვალა, რომ „უნდა განესაზღვრა ძალიან მკაცრი სასჯელი“ განმცხადებლის „ძალიან სერიოზული დისციპლინარული ისტორიის“ გათვალისწინებით (პრაქტიკაზე უფლების ორჯერ შეჩერება სისხლისსამართლებრივი მსჯავრდებისათვის).

ბ-ნ ალბერს გადაწყვეტილების შესახებ 11 ივნისს ეცნობა.

10. 18 ივნისს დოქტორმა ალბერმა სააპელაციო საჩივრით მიმართა “*Ordre*”-ს ფრანგულენოვან სააპელაციო საბჭოს. 26 ივნისს ამგვარადვე მოიქცა პროვინციის საბჭოს იურიდიული ექსპერტი დაკისრებული სასჯელის გაზრდის მიზნით.

19 ნოემბერს სააპელაციო საბჭომ დაამტკიცა პირველი ინსტანციის გადაწყვეტილება.

11. 1975 წლის 12 ივნისს განაჩენით საკასაციო სასამართლომ არ დააკმაყოფილა განმცხადებლის საკასაციო საჩივარი. განმცხადებელი ამტკიცებდა დაცვის უფლებისა და, შესაბამისად, კონსტიტუციის 97-ე მუხლის დარღვევას.

ბ. დოქტორი ლე კომპტი

12. ბ-ნი ჰერმან ლე კომპტი არის ბელგიის მოქალაქე, დაბადებული 1929 წელს. ამჟამად ცხოვრობს ენოკე-ჰეისტში. იგი პრაქტიკოსი ექიმია.

13. 1974 წლის 22 თებერვალს *Ordre des médecins*-ის დასავლეთ ფლანდრიის პროვინციის საბჭომ აცნობა მას, რომ მიღებული იყო ბრძანება მისი დაკითხვის შესახებ „არამართლზომიერი საჯაროობისა (*ongoorloofde publiciteit*) და *Ordre*-ს შეურაცხყოფისათვის (*beledigingen*)“: მან სამჯერ მისცა ინტერვიუ გაზეთებს და გაუგზავნა წერილი პროვინციის საბჭოს თავმჯდომარეს.

26 მარტს განმცხადებელმა წერილობით აცნობა ხსენებულ თავმჯდომარეს თავისი განზრახვა, 1970 წლის 6 თებერვლის სამეფო დეკრეტის მე-40 და 41-ე მუხლების საფუძველზე გამოეყენებინა სააპელაციო საბჭოს ყველა წევრის წინააღმდეგ საჩივრის შეტანის უფლება.

27 მარტს პროვინციის საბჭომ დაუსწრებელი (*in absentia*) გადაწყვეტილებით არ დააკმაყოფილა განმცხადებლის პრეტენზია და დროებით, ორი წლის ვადით, შეუჩერა სამედიცინო პრაქტიკის განხორციელების უფლება.

14. 1974 წლის 5 აპრილს განმცხადებელმა შეიტანა აპელაცია. სხვა საკითხებთან ერთად იგი ამტკიცებდა კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის დარღვევას:

„კონვენციის ეს დებულება სამოქალაქო მოსარჩელეს აძლევს იმის გარანტიას, რომ მისი საქმე საჯაროდ იქნება განხილული დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ. კონკრეტულ გარემოებებში კი არც ერთი გარანტია არ იყო უზრუნველყოფილი.

(ა) *Ordre des médecins*-ის საბჭოები საქმეებს საჯაროდ მაშინაც კი არ განიხილავენ, როდესაც არ არსებობს სახელმწიფო პოლიტიკის რაიმე საფუძველი საქმის დახურულ სხდომაზე (*in camera*) განსახილველად ან, თუნდაც, გადაწყვეტილების *in camera* გამოსაცხადებლად. აქედან გამომდინარე, შეუძლებელი ხდება ევროპული კონვენციის პრინციპების შესაბამისად კეთილსინდისიერი მოპყრობა.

(ბ) *Ordre*-ს საბჭოები, თუნდაც მხოლოდ მათი შემადგენლობის გამო, არ არის არც დამოუკიდებელი და არც მიუკერძოებელი, ვინაიდან მათი წევრების ნახევარი სხვა პრაქტიკოსი ექიმები არიან“ (თარგმანი ჰოლანდიური ენიდან). პროვინციის საბჭოს სამართლებრივ ექსპერტს არ მიუმართავს აპელაციის უფლებსათვის.

28 ოქტომბერს ჰოლანდიურენოვანმა სააპელაციო საბჭომ არ დააკმაყოფილა მისი წევრების წინააღმდეგ შეტანილი საჩივრების საფუძველები და განმცხადებლის საქმიანობის დროებით შეჩერება შეცვალა “*Ordre*“-ს რეესტრიდან მისი გვარის ამოღებით.

4 ნოემბერს ექიმმა ლე კომპტმა გაასაჩივრა ხსენებული გადაწყვეტილება, რომელიც მიღებული იქნა *in absentia*.

ექიმი ლე კომპტი გამოძახებული იქნა 16 დეკემბრის მოსმენაზე. 6 დეკემბერს მან შეიტანა ახალი საჩივარი სააპელაციო საბჭოს ყველა წევრის აცილების შესახებ.

1975 წლის 6 იანვარს სააპელაციო საბჭომ არ დააკმაყოფილა არც საჩივარი და არც პრეტენზია.

15. ამის შემდეგ განმცხადებელმა საკასაციო საჩივრით მიმართა საკასაციო სასამართლოს, მაგრამ მისი საჩივარი არ დააკმაყოფილდა 1975 წლის 7 ნოემბრის გადაწყვეტილებით, რის შესახებაც ეცნობა 25 ნოემბერს.

16. ექიმი ლე კომპტის გვარი *Ordre*-ს რეესტრიდან 26 დეკემბერს იქნა ამოღებული.

1967 წლის 10 ნოემბრის №79 სამეფო დეკრეტის მე-7 მუხლის 1-ლი პუნქტისა და 31-ე მუხლის, აგრეთვე, 1967 წლის 10 ნოემბრის №78 სამეფო დეკრეტის 38-ე მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად, რეესტრიდან მისი გვარის ამოღებით ექიმ ლე კომპტს აეკრძალა სამედიცინო პრაქტიკის წარმოება.

II. “Ordre des médecins“

17. ბელგიის კანონმდებლობა *Ordre des médecins*-ის შესახებ, კერძოდ, *Ordre*-ს ორგანოებისა და დისციპლინარულ საქმეებზე პროცედურის შესახებ, განხილულია *Le Compte, Van Leuven and De Meyere*-ს საქმეზე გამოტანილ განაჩენში, 1981 წლის 23 ივნისი, სერია A, №43, გვ 11-17, პუნქტები 20-34. სასამართლო ამ თვალსაზრისით კვლავ აკეთებს მითითებას სსენებულ განაჩენზე.

სამართალწარმოება კომისიაში

18. დოქტორმა ალბერმა კომისიას მიმართა 1975 წლის 10 დეკემბერს, ხოლო დოქტორმა ლე კომპტმა – 1976 წლის 6 მაისს.

ორივე განმცხადებელი ამტკიცებდა კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის დარღვევას. კერძოდ, ისინი ამტკიცებდნენ, რომ მათ არ ჰქონდათ კანონით დადგენილი სამართლიანი და საჯარო მოსმენა გონივრულ ვადაში დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ.

გარდა ამისა, დოქტორი ალბერი ამტკიცებდა, რომ მას არ უსარგებლია მე-6 მუხლის მე-2 პუნქტითა და მე-3 პუნქტის (ა), (ბ) და (დ) ქვეპუნქტებით გათვალისწინებული გარანტიებით.

თავის მხრივ, დოქტორი ლე კომპტი აპროტესტებდა, რომ *Ordre*-ს რეესტრიდან მისი გვარის ამოღება წარმოადგენდა არაადამიანურ და დამამცირებელ სასჯელს მე-3 მუხლის დარღვევით, ხოლო *Ordre*-ში გაწევრიანებისა და მისი დისციპლინარული ორგანოებისადმი დაქვემდებარების ვალდებულება არღვევს ცალკე აღებულ მე-11 მუხლს ან ამ მუხლს მე-17 მუხლთან ერთად.

19. 1979 წლის 10 ივლისს პროცედურის რეგლამენტის 29-ე მუხლის შესაბამისად ზემოხსენებული განაცხადების გაერთიანების შემდეგ 1979 წლის 4 დეკემბერს კომისიამ ორივე განაცხადი გამოაცხადა არსებით განხილვაზე დაშვებულად.

1981 წლის 14 დეკემბრის მოხსენებაში (კონვენციის 31-ე მუხლი) კომისიამ გამოხატა თავისი აზრი:

- რომ ადგილი არ ჰქონია მე-3 მუხლის დარღვევას (ერთხმად);
- რომ არც დოქტორი ალბერი (რვა ხმა ოთხის წინააღმდეგ, ერთმა თავი შეიკავა), არც დოქტორი ლე კომპტი (თორმეტი ხმა, ერთმა თავი შეიკავა) არ დაქვემდებარებიან „სისხლისსამართლებრივ ბრალდებას“;
- რომ მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი გამოიყენება „დავებზე“ (*disputes*) „სამოქალაქო უფლებებსა და მოვალეობებთან“ მიმართებაში, რასაც წარმოადგენდა განმცხადებლის წინააღმდეგ მიღებული დისციპლინარული ზომები (თორმეტი ხმა ერთის წინააღმდეგ);
- რომ მოცემულ გარემოებებში *Ordre*-ს ორგანოები იყო „კანონით დადგენილი“ და „დამოუკიდებელი“ (ათი ხმა, სამმა თავი შეიკავა);
- რომ დოქტორ ალბერს (შვიდი ხმა ოთხის წინააღმდეგ, ორმა თავი შეიკავა) და დოქტორ ლე კომპტს (8 ხმა ერთის წინააღმდეგ, ოთხმა თავი შეიკავა) მოუსმინა „მიუკერძოებელმა სასამართლომ“;

- რომ დარღვეული იქნა მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი, რადგან არც ერთ განმცხადებელს არ ჰქონია „საჯარო მოსმენა“ (თერთმეტი ხმა ერთის წინააღმდეგ, ერთმა თავი შეიკავა).

აღნიშნა რა, რომ დოქტორი ლე კომპტის მტკიცება მე-11 მუხლთან მიმართებაში ზუსტად ანალოგიური იყო იმ განცხადებებისა, რომლებიც მან ჩამოაყალიბა *Le Compte, Van Leuven and De Meyere*-ის საქმეში, კომისიამ მიუთითა თავის 1979 წლის 14 დეკემბრის მოხსენებაზე (პუნქტები 61-65) და სასამართლოს 1981 წლის 23 ივნისის განაჩენზე (სერია A №43, გვ. 17, პუნქტი 36, და გვ. 26-27, პუნქტები 62-66).

მოსხენება შეიცავს ოთხ განსხვავებულ აზრს.

სასამართლოს წინაშე საბოლოო მტკიცებები

20. 1982 წლის 27 სექტემბრის მოსმენაზე მთავრობამ თხოვნით მიმართა სასამართლოს,

„დაედგინა, რომ წინამდებარე საქმეში ადგილი არ ჰქონია კონვენციის მე-3 მუხლის ან მე-6 მუხლის რომელიმე დებულების დარღვევას.“

სამართალი

I. მე-3 მუხლის საგარაუდო დარღვევა

21. ერთ-ერთი განმცხადებელი – დოქტორი ლე კომპტი მიუთითებდა კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევაზე. ხსენებული დებულების მიხედვით:

„არავინ შეიძლება დაექვემდებროს წამებას ან არაადამიანურ თუ დამამცირებელ მოპყრობას ან დასჯას.“

დოქტორი ლე კომპტის მტკიცებით, *Ordre des médecins*-ის რეესტრიდან მისი გვარის ამოღება წარმოადგენდა დამამცირებელ, თუ არა არაადამიანურ, სასჯელს როგორც თავისი ხასიათით, ასევე მის პირად, პროფესიულ და ოჯახურ ცხოვრებაზე ზემოქმედების შედეგებით.

22. სასამართლო არსობრივად ეთანხმება საწინააღმდეგო მოსაზრებას, რომელიც კომისიამ გამოთქვა თავისი მოხსენების 57-ე პუნქტში. იგი აღნიშნავს, რომ პრაქტიკის განხორციელებაზე უარის თქმა, როგორც დისციპლინარული ღონისძიება, მიზნად ისახავს, დაისაჯოს ექიმი, რომლის სერიოზულმა არამართლზომიერმა ქმედებამ აჩვენა, რომ იგი აღარ აკმაყოფილებდა სამედიცინო პროფესიის განხორციელების აუცილებელ პირობებს. სასამართლომ არ ჩათვალა საჭიროდ, კითხვის ქვეშ დაეყენებინა უშუალოდ ამ სახის ღონისძიებების (რომლებიც ამასთანავე არსებობდა ევროპის საბჭოს უმეტეს წევრ სახელმწიფოებში) კანონიერების პრინციპი. სასამართლომ არც ის მიიჩნია საჭიროდ, რომ დაედგინა, წინამდებარე საქმეში გამართლებული იყო თუ არა ხსენებული ღონისძიება.

თავისთავად აღებული, პრაქტიკის განხორციელებაზე უარი მიზნად ისახავდა დოქტორი ლე კომპტისათვის არამართლზომიერი ქმედების გამო სასჯელის შეფარდებას და არა მისი პიროვნების დამცირებას; ამავე დროს, ზემოსხენებულ ღონისძიებას, რამდენადაც

საქმე შედეგებს ეხება, არ მოუხდენია მის პიროვნებაზე არასასურველი ზეგავლენა მე-3 მუხლთან შეუთავსებელი სახით.

აქედან გამომდინარე, ადგილი არ ჰქონია მე-3 მუხლის დარღვევას.

II. მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის სავარაუდო დარღვევა

23. დოქტორი ალბერისა და დოქტორი ლე კომპტის მტკიცებით, მათ მიმართ დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი. ეს დებულება ითვალისწინებს:

„სამოქალაქო უფლებათა და მოვალეობათა ან სისხლისსამართლებრივი ნებისმიერი ბრალდების განსაზღვრისას ყველას აქვს უფლება კანონით შექმნილი დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ გონივრულ ვადაში სამართლიან და საჯარო მოსმენაზე. სასამართლო გადაწყვეტილება ცხადდება საჯაროდ, მაგრამ დემოკრატიულ საზოგადოებაში, ზნეობის, საზოგადოებრივი წესრიგის ან ეროვნული უშიშროების ინტერესებიდან გამომდინარე, პრესა და საზოგადოება შეიძლება არ იქნენ დაშვებულნი მთელ სასამართლო განხილვაზე ან მის ნაწილზე, თუ ამას მოითხოვს არასრულწლოვანთა ინტერესები ან მხარეთა პირადი ცხოვრების დაცვა, ანდა, თუ სასამართლო სრულიად გარკვევით მიიჩნევს, რომ განსაკუთრებულ გარემოებებში საჯაროობა ზიანს მიაყენებდა მართლმსაჯულების ინტერესებს.“

24. პირველი საკითხი, რომელზეც გადაწყვეტილება უნდა იქნეს გამოტანილი, ეხება ამ დებულების გამოყენებას; კომისიისა და განმცხადებლების მტკიცებით, მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი შეესატყვისება წინამდებარე საქმეს, თუმცა მთავრობა საწინააღმდეგოს ამტკიცებს.

ა. მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის გამოყენების საკითხი

25. მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი მიესადაგება მხოლოდ „სამოქალაქო უფლებათა და მოვალეობათა ან ნებისმიერი სისხლისსამართლებრივი ბრალდების“ დადგენას (ფრანგულ ტექსტში: *contestations sur [des] droits et obligations de caractère civil* და *bien-fondé de toute accusation en matière pénale*). როგორც სასამართლომ რამდენიმე შემთხვევაში დაადგინა, არსებობს მთელი რიგი საქმეებისა (ფრანგულ ტექსტში: *causes*), რომლებიც არ შედის რომელიმე ამ კატეგორიაში და რომლებიც რჩება მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის მოქმედების სფეროს მიღმა (იხ. ზემოხსენებული *Le Compte, Van Leuven and De Meyere*-ს საქმეზე გამოტანილი განაჩენი, სერია A №43, გვ. 19, პუნქტი 41, და მასში გაკეთებული მითითები წინა პრეცედენტულ სამართალზე).

დისციპლინარულ სამართალწარმოებას, ჩვეულებრივ, არ მიეყვართ დავამდე (*dispute*) „სამოქალაქო უფლებებისა და მოვალეობების“ თვალსაზრისით; თუმცა მთელ რიგ შემთხვევებში შეიძლება სხვაგვარად მოხდეს (*ibid.*, გვ. 19, პუნქტი 42). დისციპლინარული სამართალწარმოება, როგორც ასეთი, არ შეიძლება კვალიფიცირებული იყოს „სისხლისსამართლებრივად“, თუმცა შესაძლებელია სხვაგვარად იყოს მთელ რიგ სპეციფიკურ საქმეებში (იხ. *Engel and others*-ის საქმეზე გამოტანილი განაჩენი, 1976 წლის 8 ივნისი, სერია A №22, გვ. 33-36, პუნქტი 80-85).

26. როგორც *Le Compte, Van Leuven and De Meyere*-ს საქმეში იქნა აღნიშნული, აუცილებელია დადგინდეს, მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი მთელ სამართალწარმოებას მიესადაგება, თუ მხოლოდ მის იმ ნაწილს, რომელიც წარმოადგენს დისციპლინარულ ორგანოებში – პროვინციისა და სააპელაციო საბჭოებში, შემდგომში კი საკასაციო სასამართლოს გადაეცა.

1. „სამოქალაქო უფლებებსა და მოვალეობებთან“ დაკავშირებული „დავების“ (*disputes*) არსებობა

27. დოქტორი ლე კომპტი, ისევე, როგორც დოქტორი ალბერი თავის საჩივარში, ამტკიცებდნენ, რომ მათ წინააღმდეგ განხორციელებულმა დისციპლინარულმა სამართალწარმოებამ წამოჭრა „დავები“ (*disputes*) მათ „სამოქალაქო უფლებებსა და მოვალეობებთან“ მიმართებაში.

ამგვარად დასმული საკითხი უმეტესწილად ანალოგიურია იმ საკითხისა, რომელთან დაკავშირებითაც გადაწყვეტილება პლენარული სასამართლოს მიერ უკვე გამოტანილი იქნა 1981 წლის 23 ივნისის განაჩენში (სასამართლოს რეგლამენტის 48-ე მუხლი). სასამართლო ვერ ხედავს საფუძველს აღნიშნული განაჩენისაგან განსხვავებული აზრისთვის, განსაკუთრებით იმიტომ, რომ დოქტორმა ლე კომპტმაც, მთავრობამაც და კომისიამაც მიუთითეს *Le Compte, Van Leuven and De Meyere*-ს საქმეში გამოთქმულ თავიანთ არგუმენტებზე.

ისევე, როგორც ხსენებულ საქმეში, მტკიცებულება მიუთითებს რეალური „დავის“ (*dispute*) არსებობაზე. *Ordre des medecins*-ი ამტკიცებდა, რომ განმცხადებლებმა ჩაიდინეს პროფესიული თვალსაზრისით არამართლზომიერი საქციელი და სასჯელი ამის გამო შეეფარდათ, განმცხადებლები უარყოფდნენ ამ მტკიცებულებას. მას შემდეგ, რაც პროვინციის საბჭომ ისინი დამნაშავეებად ცნო და მიიღო ბრძანება მათთვის პრაქტიკის წარმოების უფლების დროებით შეჩერების შესახებ – ამ გადაწყვეტილებათაგან ერთი მიღებული იქნა ფაქტებთან და მის საქმეში სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით დოქტორი ალბერის მტკიცებულებათა მოსმენის შემდეგ (ბრაბანტი) და *in absentia* დოქტორი ლე კომპტის შემთხვევაში (დასავლეთ ფლანდრია) – განმცხადებლებმა აპელაციით მიმართეს სააპელაციო საბჭოს. აპელაციები არ დაკმაყოფილდა, რის გამოც განმცხადებლებმა მიმართეს საკასაციო სასამართლოს (იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტები 11 და 15).

28. გარდა ამისა, უნდა დადგინდეს, რომ „სამოქალაქო უფლებებსა და მოვალეობებთან“ დაკავშირებულ „დავას“ (*dispute*), სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, „სამართალწარმოების შედეგებს“, „გადამწყვეტი მნიშვნელობა“ ჰქონდა აღნიშნული უფლებისათვის (იხ. *Ringeisen*-ის საქმეზე გამოტანილი განაჩენი, 1971 წლის 16 ივლისი, სერია A №13, გვ. 39, პუნქტი 94).

(ა) პირველ საკითხთან დაკავშირებით (პირდაპირი კავშირი „დავასა“ (*dispute*) და უფლებას შორის) სასამართლო აღნიშნავს, რომ მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტისათვის საკმარისი არ არის უმნიშვნელო კავშირი ან შორეული შედეგები: უფლება უნდა იყოს „დავის“ (*dispute*) ობიექტი ან ერთ-ერთი ობიექტი (იხ. ზემოხსენებული *Le Compte, Van Leuven and De Meyere*-ს საქმეზე გამოტანილი განაჩენი, სერია A №43, გვ. 21, პუნქტი 47).

მთავრობის მტკიცებით, „დისციპლინარული სამართალწარმოების ერთადერთი მიზანია“, „გამოიძიოს“ და „დაადგინოს, დაარღვია თუ არა პროფესიული ქცევის წესები“ ან „ხელყო თუ არა პროფესიის რეპუტაცია ან ღირსება პირმა, რომლის წინააღმდეგაც მიმდინარეობს სამართალწარმოება, და, თუ ეს ასეა“, „შეუფარდოს მას დისციპლინარული სანქცია“.

სასამართლოს არ შეუძლია ამ თვალსაზრისის გაზიარება. 1974 წლის 4 ივნისს დოქტორი ალბერის წინააღმდეგ და იმავე წლის 27 მარტს დოქტორი ლე კომპტის

წინააღმდეგ პროვინციის საბჭოს მიერ მიღებულმა ბრძანებებმა დროებით შეუჩერა მათ სამედიცინო პრაქტიკის წარმოების უფლება. მათი აპელაციები უპირატესად მიზნად ისახავდა აღნიშნული ზომების გაუქმებას. ამდენად, საკითხი პრაქტიკის წარმოების უფლების თაობაზე სააპელაციო საბჭოს წინაშე უშუალოდ იდგა. უფრო მეტიც, აღნიშნულ საბჭოს შეეძლო გაემკაცრებინა (და დოქტორი ლე კომპტის მიმართ გაამკაცრა კიდევ) სანქცია. ეს საკითხი უნდა განეხილა საკასაციო სასამართლოსაც, რომელსაც ასევე მოეთხოვებოდა – მისი იურისდიქციის ფარგლებში – მათ მიმართ გამოტანილი გადაწყვეტილებების წინააღმდეგ განმცხადებელთა საჩივრების განხილვა.

(ბ) მეორე საკითხთან დაკავშირებით (იყო თუ არა ეს სამოქალაქო უფლება) სასამართლომ აღნიშნა, რომ (როგორც ამას ადგილი ჰქონდა *König*-ისა და *Le Compte, Van Leuven and De Meyere*-ს საქმეებში) უფლება, რომელიც იდგა დღის წესრიგში, იყო სამედიცინო პროფესიის განხორციელების გაგრძელების უფლება. თავის 1978 წლის 28 ივნისისა და 1981 წლის 23 ივნისის განაჩენებში სასამართლომ დაადგინა, რომ თითოეული ხსენებული საქმის კონკრეტულ გარემოებებში ეს იყო პირადი უფლება და, ამგვარად, სამოქალაქო უფლება მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის მნიშვნელობით; აქედან გამომდინარე, სასამართლომ დაასკვნა, რომ განსახილველ საქმეებს მიესადაგებოდა მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი (სერია A №27, გვ. 32, პუნქტი 95, და სერია A № 43, გვ. 22, პუნქტი 48).

ხსენებული დისციპლინარული სანქციების ძალით განმცხადებლებს ჩამოერთვათ დროებით (დოქტორი ალბერი) ან სამუდამოდ (დოქტორი ლე კომპტი) ზემოხსენებული უფლება, რომელიც მათ ჯეროვნად მოიპოვეს და რომელიც აძლევდა მათ საშუალებას, თავიანთ პროფესიულ ცხოვრებაში განხორციელებინათ საკუთარი მიზნები.

სასამართლოს ფუნქციაში არ შედის, გასცდეს მისთვის განსახილველად წარდგენილ ფაქტებს და განსაზღვროს, არის თუ არა სამოქალაქო უფლება მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის მნიშვნელობით ზოგადად სამედიცინო პროფესიაზე უფლება (უპირატესად იხ., *mutatis mutandis*, *Golder*-ის საქმეზე გამოტანილი განაჩენი, 1975 წლი 21 თებერვალი (სერია A №18, გვ. 19, პუნქტი 39). საკმარისია იმის აღნიშვნა, რომ სწორედ კლიენტებსა და პაციენტებთან პირადი ურთიერთობების მეშვეობით სარგებლობენ პრაქტიკის გაგრძელების უფლებით ექიმები, რომლებიც კერძო პრაქტიკას მისდევენ (როგორც მოცემულ შემთხვევაში განმცხადებლები); ბელგიაში ურთიერთობები, ჩვეულებრივ, ხელშეკრულებას ეფუძნება და ნებისმიერ შემთხვევაში უშუალოდ მყარდება ინდივიდუალურ პირებს შორის პირად საფუძველზე. შესაბამისად, პრაქტიკის განხორციელების უფლება წარმოადგენს, განმცხადებლების შემთხვევაში, პირად უფლებას და, აქედან გამომდინარე, სამოქალაქო უფლებას მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის მნიშვნელობით, მიუხედავად სამედიცინო პროფესიის – პროფესიის, რომელიც საყოველთაო ინტერესებში ხორციელდება – სპეციფიკური ხასიათისა და იმ სპეციალური მოვალეობებისა, რომლებიც ეკისრება ამ პროფესიის წარმომადგენლებს.

29. რამდენადაც „დავა“ (*dispute*) მათ წინააღმდეგ მიღებულ გადაწყვეტილებებში ეხებოდა „სამოქალაქო უფლებას“, განმცხადებლებს ჰქონდათ უფლება, მათი საქმე (ფრანგულად: *causes*) მოესმინა „სასამართლოს“, რომელიც აკმაყოფილებდა მე-6 მუხლის 1-ლ პუნქტში ჩამოყალიბებულ პირობებს (იხ. ზემოხსენებული *Golder*-ის საქმეზე გამოტანილი განაჩენი, სერია A №18, გვ. 18, პუნქტი 36). ევროპის საბჭოს ბევრ წევრ სახელმწიფოში დისციპლინარული სამართალდარღვევის განხილვის მოვალეობა ეკისრება პროფესიული ასოციაციების იურისდიქციულ ორგანოებს. იმ შემთხვევებშიც კი, როდესაც გამოიყენება მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი, უფლებამოსილების გადაცემა ამ სახით თავისთავად არ არღვევს კონვენციას (იხ. ზემოხსენებულ *Le Compte, Van Leuven and De Meyere*-ს საქმეზე გამოტანილი განაჩენი, სერია, A №43, გვ. 23, პირველი ქვეპუნქტი).

მიუხედავად ამისა, ამგვარ შემთხვევებში კონვენცია მოითხოვს ქვემოთ აღნიშნული ორი სისტემიდან ერთ-ერთის არსებობას მაინც: იურისდიქციული ორგანოები თავისთავად უნდა შეესაბამებოდეს მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის მოთხოვნებს, ან შეიძლება არ შეესაბამებოდეს, მაგრამ ექვემდებარებოდეს შემდგომ კონტროლს იმ სასამართლო ორგანოს მხრიდან, რომელსაც აქვს სრული იურისდიქცია და რომელიც უზრუნველყოფს მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის გარანტიების შესრულებას.

მოცემულ შემთხვევაში განმცხადებლების საქმეები განხილული იქნა სამი ორგანოს, კერძოდ, პროვინციის საბჭოს, სააპელაციო საბჭოსა და საკასაციო სასამართლოს მიერ. როგორც ამას ადგილი ჰქონდა *Le Compte, Van Leuven and De Meyere*-ს საქმეში, სასამართლომ არ ჩათვალა აუცილებლად პროვინციის საბჭოსთან დაკავშირებით საკითხის განხილვა (*ibid.*). მეორე მხრივ, სასამართლო უნდა დარწმუნდეს, რომ სააპელაციო საბჭოში ან, იქ წარუმატებლობის შემთხვევაში, საკასაციო სასამართლოში დოქტორმა ალბერმა და დოქტორმა ლე კომპტემ ისარგებლეს „სასამართლოზე უფლებით“ (იხ. ზემოხსენებული *Golder*-ის საქმეზე გამოტანილი განაჩენი, სერია A №18, გვ. 18, პუნქტი 36) და სადავო საკითხების სასამართლოს მიერ გადაწყვეტის უფლებით (იხ. ზემოხსენებული *König*-ის საქმეზე გამოტანილი განაჩენი, სერია A №27, გვ. 34, პუნქტი 98 *in fine*) როგორც ფაქტობრივ, ასევე სამართლებრივ მხარესთან მიმართებაში.

2. „სისხლისსამართლებრივი ბრალდების“ არსებობა

30. დოქტორი ალბერის, მაგრამ არა დოქტორი ლე კომპტის, ძირითადი მტკიცებით, *Ordre des médecins*-ის ორგანოებს მოეთხოვებათ „სისხლისსამართლებრივი ბრალდების“ განსაზღვრა, რასაც აპროტესტებს მთავრობა; კერძოდ, მისი [მთავრობის] მტკიცებით, თუ დაუშვებთ, რომ მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი მიესადაგება ამ საქმეს, არ შეიძლება, იგი მოქმედებდეს ერთსა და იმავე დროს „სამოქალაქო უფლებათა და მოვალეობათა“ და „სისხლისსამართლებრივი ბრალდების“ მიმართ.

განაცხადების არსებით განხილვაზე დაშვებადობის საკითხის გადაწყვეტისას კომისიამ მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტიდან არ გამოორიცხა სისხლის სამართლის ასპექტი. შემდეგ კომისიამ განიხილა იმ არამართლზომიერი ქმედებების ხასიათი, რომლებშიც ბრალი ედებოდათ განმცხადებლებს (ზოგიერთ ქმედებას შეიძლება გამოეწვია სისხლისსამართლებრივი დევნა), და დაკისრებული სასჯელების სიმკაცრე; მიუხედავად ამისა, კომისიამ მოხსენებაში დაასკვნა, რომ არც დოქტორი ალბერი და არც დოქტორი ლე კომპტი არ დაქვემდებარებიან „სისხლისსამართლებრივ ბრალდებას“.

თავის მხრივ, სასამართლო არ თვლის, რომ მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის ორი ასპექტი, სამოქალაქო და სისხლისსამართლებრივი, აუცილებლად ურთიერთგამომრიცხველია (იხ. ზემოხსენებული *Engel and others*-ის საქმეზე გამოტანილი განაჩენი, სერია A №22, გვ. 36-37, პუნქტი 87; ზემოხსენებული *König*-ის საქმეზე გამოტანილი განაჩენი, სერია A №27 გვ. 32-33, პუნქტი 96; და ზემოხსენებული *Le Compte, Van Leuven and De Meyere*-ს საქმეზე გამოტანილი განაჩენი, სერია A №43, გვ. 23-24, პუნქტები 52-53). მაგრამ სასამართლოს არ მიაჩნია, რომ აუცილებელია იმის დადგენა, კონკრეტულ გარემოებებში არსებობდა თუ არა „სისხლისსამართლებრივი ბრალდება“. ფაქტობრივი მხარის თვალსაზრისით, მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი, რომლის დარღვევასაც ამტკიცებს ორივე განმცხადებელი, მიესადაგება როგორც სამოქალაქო, ისე სისხლის სამართლის საქმეებს (იხ. ზემოხსენებული *Le Compte, Van Leuven and De Meyere*-ს საქმეზე გამოტანილი განაჩენი, სერია A №43, გვ. 23-24, პუნქტი 53). დოქტორი ალბერი დამატებით ეყრდნობა მე-2 პუნქტსა და მე-3 პუნქტის (ა), (ბ) და (დ) ქვეპუნქტებს, მაგრამ, სასამართლოს აზრით, მათში განცხადებული პრინციპები, წინამდებარე მიზნებისათვის, უკვე მოცემულია

სამართლიანი სასამართლოს ცნებაში, როგორც ეს ჩამოყალიბებულია მე-6 მუხლის 1-ლ პუნქტში; ამდენად, სასამართლო გაითვალისწინებს ამ პრინციპებს 1-ლი პუნქტის კონტექსტში (იხ. წინამდებარე განახენის პუნქტები 38-42).

ბ. მე-6 მუხლის 1-ლ პუნქტთან შესაბამისობა

31. *Le Compte, Van Leuven and De Meyere*-ს საქმეში სასამართლომ გამოიკვლია, სინამდვილეში წარმოადგენდნენ თუ არა სააპელაციო საბჭოები და საკასაციო სასამართლო „კანონით შექმნილ“, „დამოუკიდებელ“ და „მიუკერძოებელ“ „სასამართლოებს“ და უზრუნველყვეს თუ არა მათ განმცხადებლები „საჯარო მოსმენით“. წინამდებარე საქმეში სასამართლო არ მიიჩნევს აუცილებლად, დაუბრუნდეს პირველ სამ საკითხს; ისევე, როგორც კომისია, სასამართლო მივიდა დასკვნამდე, რომ დარღვევას ადგილი არ ჰქონია.

ამგვარად, განსახილველი რჩება მიუკერძოებლობისა და საჯაროობის გარანტიები.

1. მიუკერძოებლობა

32. არ შეიძლება საკითხის დასმა საკასაციო სასამართლოს მიუკერძოებლობასთან მიმართებაში (იხ. ზემოხსენებული *Le Compte, Van Leuven and De Meyere*-ს საქმეზე გამოტანილ განახენი, სერია A №43, გვ. 25, პუნქტი 58).

რაც შეეხება სააპელაციო საბჭოს, კომისია აღარ ამტკიცებს, რომ საბჭოს სამედიცინო წევრები განმცხადებლებისათვის არახელსაყრელად უნდა ჩაითვალოს, რადგან სამართალწარმოების ერთ მხარესთან საერთო ინტერესი ჰქონდათ (*ibid.*); კომისიამ აღნიშნა, რომ დოქტორმა ლე კომპტმა, მაგრამ არა დოქტორმა ალბერმა, სცადა საბჭოს მედიკოსი წევრების მთლიანად აცილება, თუმცა არ წარუდგენია რაიმე კონკრეტული საჩივარი რომელიმე მათგანის წინააღმდეგ (იხ. წინამდებარე განახენის პუნქტი 14). ვინაიდან დათქმა გაკეთდა მიუკერძოებლობის თაობაზე ინსტრუქციასთან, როგორც ასეთთან, მიმართებაში, კომისიამ გამოთქვა აზრი, რომ ამ თვალსაზრისით ადგილი არ ჰქონია მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის დარღვევას.

სასამართლო ეთანხმება ამ დასკვნას. პრინციპში, უნდა არსებობდეს „სასამართლოს“ წევრების პირადი მიუკერძოებლობის პრეზუმფცია, სანამ არ დამტკიცდება საწინააღმდეგო (იხ. ზემოხსენებული *Le Compte, Van Leuven and De Meyere*-ს საქმეზე გამოტანილ განახენი, *ibid.*); დოქტორმა ლე კომპტმა რეალურად გამოიყენა ხსენებული უფლება, მაგრამ მან ეს უფლება ისეთი ბუნდოვანი გზით განახორციელა, რომ მისი მიზანი არ შეიძლებოდა ჩათვლილიყო დასაბუთებულად (იხ. წინამდებარე განახენის პუნქტი 14). რაც შეეხება მიუკერძოებლობას ობიექტური და ორგანიზაციული თვალსაზრისით (იხ., *mutatis mutandis*, *Piersack*-ის საქმეზე გამოტანილი განახენი, 1982 წლის 1 ოქტომბერი, სერია A №53, გვ. 14-15, პუნქტი 30), წარდგენილ მასალებში არაფერია ისეთი, რაც სასამართლოს ამ საკითხის განხილვას გადააწყვეტინებდა.

კერძოდ, სამედიცინო პრაქტიკოსების სააპელაციო საბჭოების წევრებად დანიშვნის წესი არ წარმოშობს იმის საფუძველს, რომ ეს პირები მიჩნეული იქნენ მიუკერძოებულებად: მართალია, მათი არჩევა ხდება პროვინციის საბჭოების მიერ (იხ. ზემოხსენებული *Le Compte, Van Leuven and De Meyere*-ს საქმეზე გამოტანილი განახენი, სერია A №43, გვ. 14, პუნქტი 26), ისინი მოქმედებენ არა როგორც *Ordre des medecins*-ის წარმომადგენლები, არამედ დამოუკიდებლად, მსგავსად მეფის მიერ დასახელებული წევრებისა.

2. საჯაროობა

33. ბელგიის კანონმდებლობის თანახმად, პროფესიული იურისდიქციული ორგანოები და საკასაციო სასამართლო საჯაროობასთან დაკავშირებით სხვადასხვა წესებით ხელმძღვანელობენ.

(ა) სააპელაციო საბჭო

34. 1970 წლის 6 თებერვლის სამეფო დეკრეტის თანახმად, სააპელაციო საბჭოში გამორიცხულია ყოველგვარი საჯაროობა როგორც საქმის განხილვისას, ისე გადაწყვეტილების გამოცხადებისას. ამ სახის აკრძალვას (თუ იგი არ იქნა გამოსწორებული პროცედურის შედარებით გვიანდელ საფეხურზე) შეუძლია ჩამოართვას ადამიანებს კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის პირველ წინადადებაში გათვალისწინებული ერთ-ერთი გარანტია. მეორე წინადადებით განსაზღვრული, დასაშვები გამონაკლისების შესაბამისად, მოპასუხე პრაქტიკოს ექიმს უფლება აქვს ამგვარ საჯაროობაზე, თუ მის წინააღმდეგ მიმართული დისციპლინარული სამართალწარმოების მსვლელობისას წამოიჭრება დავა (*dispute*) სამოქალაქო უფლებებსა და მოვალეობებთან მიმართებაში (იხ. ზემოხსენებულ *Le Compte, Van Leuven and De Meyere*-ს საქმეზე გამოტანილი განაჩენი, სერია A №43, გვ. 25, პუნქტი 59).

პირობები, რომლებზეც დამოკიდებულია მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტით გათვალისწინებული სხვადასხვა გამონაკლისი, არ იყო დაკმაყოფილებული დოქტორ ლე კომპტთან მიმართებაში. კერძოდ, სასამართლო აღნიშნავს, რომ, როგორც ამას ადგილი ჰქონდა *Le Compte, Van Leuven and De Meyere*-ს საქმეში (*ibid.*), იმ არამართლზომიერი ქმედების უშუალო ხასიათი, რომლის ჩადენაშიც ბრალი ედებოდა დოქტორ ლე კომპტს, და მისი საჩივრები *Ordre*-ს წინააღმდეგ (იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტები 13-14) არ ეხებოდა მისი პაციენტების სამედიცინო მკურნალობას. ამდენად, არაფერია ისეთი, რაც გვაფიქრებინებდა, რომ მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის მეორე წინადადებაში მოცემული ერთ-ერთი საფუძველი ამართლებს დახურულ სხდომას (*in camera*).

დოქტორ ალბერთან მიმართებაში საკითხი განსხვავდება იმით, რომ სამართალდარღვევები, რომელთა ჩადენაშიც მას ბრალი ედება (იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტი 9), პირდაპირ უკავშირდება სამედიცინო პროფესიის განხორციელებას, რამაც შესაძლებელია წამოჭრას კითხვები, რომლებიც ხვდება მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტში ჩამოთვლილი გამონაკლისების სიაში. თუმცა სასამართლოსათვის წარდგენილი მასალები არ არის საკმარისი იმის დასადგენად, რომ მოცემულ პირობებში შესაძლებელია საჯაროობის არარსებობის გამართლება.

35. წესი, რომელიც ითხოვს საჯარო მოსმენას, როგორც ეს ჩამოყალიბებულია მე-6 მუხლის 1-ლ პუნქტში, გარკვეულ გარემოებებში შეიძლება შესაბამისი პირის სურვილზეც იყოს დამოკიდებული. ზოგადად, კონვენციით დაცული ზოგიერთი უფლების ხასიათი იმგვარია, რომ გამორიცხავს მათ განხორციელებაზე უარს (იხ. *De Wilde, Ooms and Versyp*-ის საქმეზე გამოტანილი განაჩენი, 1971 წლის 18 ივნისი, სერია A №12, გვ. 36, პუნქტი 65), მაგრამ იგივე არ შეიძლება ითქვას მთელ რიგ სხვა უფლებებზე. ამგვარად, არც მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის ფორმა და არც მისი არსი არ უქმნის დაბრკოლებას პრაქტიკოს ექიმს, რომ საკუთარი სურვილით და ცალსახად უარი ითქვას (იხ. *Neumeister*-ის საქმეზე გამოტანილი განაჩენი, 1974 წლის 7 მაისი, სერია A №17, გვ. 16, პუნქტი 36) უფლებაზე, მისი საქმე მოსმენილი იქნეს საჯაროდ; ამ სახის დისციპლინარული სამართალწარმოების ჩატარება დახურულ სხდომაზე არ ეწინააღმდეგება მე-6 მუხლის 1-ლ პუნქტს, თუ შიდა კანონმდებლობა ითვალისწინებს

ამას და ხორციელდება შესაბამისი პირის სურვილისამებრ (იხ. ზემოხსენებული *Le Compte, Van Leuven and De Meyere*-ს საქმეზე გამოტანილი განაჩენი, სერია A №43, გვ. 25, პუნქტი 59).

თუმცა დოქტორ ლე კომპტს ამ თვალსაზრისით არანაირი თანხმობა არ მიუცია, პირიქით, იგი ითხოვდა საჯარო მოსმენას (იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტი 14). მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი არ ითვალისწინებდა მისთვის ამგვარი მოსმენის თაობაზე უარის რაიმე გამამართლებელ პირობას, რამდენადაც სახეზე არ იყო არც ერთი გამონაკლისი გარემოება მეორე წინადადებაში ჩამოთვლილთაგან (იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტი 34). თავის მხრივ, ექიმ ალბერს არ მიუმართავს მსგავსი თხოვნით, მაგრამ სასამართლოსთვის წარდგენილი მტკიცებულებიდან არ დგინდება, რომ იგი მიზნად ისახავდა, უარი ეთქვა საჯაროობაზე, რომელზეც მას უფლება ჰქონდა კონვენციის შესაბამისად.

(ბ) საკასაციო სასამართლო

36. საკასაციო სამართალწარმოების საჯარო ხასიათი არ არის საკმარისი იმ ხარვეზის გამოსასწორებლად, რომლის არსებობაც დისციპლინარული სამართალწარმოების სტადიაზე დადგენილი იქნა. საკასაციო სასამართლო არ განიხილავს საქმეს არსებითად, რაც ნიშნავს, რომ „დავების“ (*disputes*) ბევრი ასპექტი, რომლებიც ეხება „სამოქალაქო უფლებებსა და მოვალეობებს“, მათ შორის, ფაქტების გადასინჯვა და სამართალდარღვევასა და სასჯელს შორის პროპორციულობის შეფასება, მისი იურისდიქციის ფარგლებს მიღმა რჩება (იხ. ზემოხსენებული *Le Compte, Van Leuven and De Meyere*-ს საქმეზე გამოტანილი განაჩენი, სერია A №43, გვ. 16, პუნქტი 33).

37. დასასრულს უნდა ითქვას, რომ დოქტორი ალბერისა და დოქტორი ლე კომპტის საქმეები (ფრაგულად: *causes*) საჯაროდ არ იქნა მოსმენილი ისეთი სასამართლოს მიერ, რომელსაც ექნებოდა საქმის ყველა ასპექტის განხილვისა და განაჩენის საჯაროდ გამოცხადების კომპეტენცია. ამ თვალსაზრისით, კონკრეტულ გარემოებებში ადგილი ჰქონდა მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის დარღვევას.

III. მე-6 მუხლის მე-2 და მე-3 (ა), (ბ) და (დ) პუნქტების სავარაუდო დარღვევა

38. ერთ-ერთი განმცხადებელი, დოქტორი ალბერი, ამტკიცებდა, რომ მას არ უსარგებლია მე-6 მუხლის მე-2 პუნქტითა და მე-3 პუნქტის (ა), (ბ) და (დ) ქვეპუნქტებით გათვალისწინებული გარანტიებით:

„2. ყველა, ვისაც ბრალად ედება სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენა, ითვლება უდანაშაულოდ, სანამ მისი ბრალეულობა არ დამტკიცდება კანონის შესაბამისად.

3. ყველას, ვისაც ბრალად ედება სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენა, აქვს უფლებათა შემდეგი მინიმუმი:

(ა) დაუყოვნებლივ და დეტალურად ეცნობოს მისთვის გასაგებ ენაზე წაყენებული ბრალდების არსი და მიზეზი;

(ბ) მიეცეს საკმარისი დრო და შესაძლებლობა დაცვის მოსამზადებლად;

...

(დ) დაკითხოს ან დაკითხულნი იქნენ მის წინააღმდეგ ჩვენების მიმცემი მოწმეები და უზრუნველყოფილი იქნეს დაცვის მოწმეთა დასწრება და დაკითხვა მის წინააღმდეგ ჩვენების მიმცემ მოწმეთა თანაბარ პირობებში;

...“

დაასკვნა რა, რომ განმცხადებლები არ დაექვემდებარნენ „სისხლისსამართლებრივ ბრალდებას“ (იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტი 19), კომისიამ არ გამოთქვა თავისი მოსაზრება ამ პრეტენზიებთან დაკავშირებით, რაც გაასაჩივრა მთავრობამ.

39. თავის მხრივ, სასამართლომ არ ჩათვალა აუცილებლად, გამოეტანა დადგენილება მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის გამოყენების შესახებ სისხლის სამართლის ნაწილში, მაგრამ გადაწყვიტა, რომ მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტით გათვალისწინებული „სამართლიანი სასამართლოს“ ცნების ინტერპრეტაციის კონტექსტში განეხილა განმცხადებლის მიერ მე-6 მუხლის მე-2 და მე-3 (ა), (ბ) და (დ) პუნქტების საფუძველზე წამოყენებული პრეტენზიები (იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტი 30).

სასამართლოს აზრით, მე-2 პუნქტსა და მე-3 პუნქტის დებულებებში ჩამოყალიბებული პრინციპები, რომლებზეც მიუთითებდა დოქტორი ალბერი (ანუ მხოლოდ (ა), (ბ) და (დ) ქვეპუნქტები), გამოიყენება, *mutatis mutandis*, დისციპლინარული სამართალწარმოების მიმართ 1-ლი პუნქტის თანახმად იმავე გზით, როგორც ეს ხდება სისხლის სამართლის დანაშაულში ბრალდებული პირის მიმართ.

40. რაც შეეხება უდანაშაულობის პრეზუმფციის დაცვას, დოქტორმა ალბერმა გააკეთა სამი კრიტიკული შენიშვნა *Ordre des medecins*-ის ბრაბანტის პროვინციის საბჭოს მიმართ: ამ უკანასკნელზე ზეგავლენა მოახდინა განმცხადებლის ძველმა სისხლის სამართლის საქმემ, საბჭომ გადაწყვეტილება არასაკმარის მტკიცებულებებზე დაყრდნობით მიიღო და უარი თქვა საწინააღმდეგო მტკიცებულებათა მოსმენაზე. ამ საჩივართაგან არც ერთი არ იქნა განხილული. როგორც 1974 წლის 4 ივნისის გადაწყვეტილების ტექსტიდან ჩანს, სანქციის შეფარდებისას პროვინციის საბჭომ მართლაც გაითვალისწინა განმცხადებლის წინა სისხლის სამართლის საქმე, მაგრამ მე-6 მუხლის მე-2 პუნქტში ხორცშესხმული პრინციპი ამას არ გამორიცხავს (იხ. ზემოხსენებული *Engel and others*-ის საქმეზე გამოტანილი განაჩენი, სერია A №22, გვ. 37-38, პუნქტი 90). პროვინციის საბჭომ თავისი გადაწყვეტილება დააფუძნა მთელ რიგ თანმხვედრ ფაქტორებზე, მათ შორის, დოქტორი ალბერის განცხადებებზე და ბოლოს, დოქტორ ალბერს არც ერთ სტადიაზე არ წამოუყენებია საწინააღმდეგო მტკიცებულება.

41. მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე განმცხადებელი ამტკიცებდა, რომ დეტალურად არ შეატყობინეს მის წინააღმდეგ არსებული ბრალდებები, რომ არ ჰქონდა საკმარისი დრო დაცვის მოსამზადებლად და რომ არ მიეცა საშუალება, ესარგებლა დაცვის მოწმეთა დასწრებისა და დაკითხვის უფლებით. ეს მტკიცებები დაუსაბუთებელია. პროვინციის საბჭოს პრეზიდენტის მიერ დოქტორი ალბერისათვის გაგზავნილ წერილში, რომელშიც სთხოვდა საბჭოს ბიუროს წინაშე გამოცხადებას, დაკონკრეტებულია *Ordre*-ს მიერ მის წინააღმდეგ მიმართული საჩივრების ხასიათი და საფუძველი (იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტი 9). გარდა ამისა, დაცვის მოსამზადებლად განმცხადებელს თხუთმეტი დღეზე მეტი დრო ჰქონდა. ამ ხანგრძლივობის ვადა, რომელსაც ითვალისწინებს 1970 წლის 6 თებერვლის სამეფო დეკრეტის 25-ე მუხლი, თავისთავადაც გონივრულია და საქმის სირთულის არარსებობის თვალსაზრისითაც. და ბოლოს, მტკიცებულებაში ისეთი არაფერია ნათქვამი, რაც

გვაფიქრებინებდა, რომ დოქტორმა ალბერმა სცადა, მოეპოვებინა დაცვის მოწმეთა დასწრებისა და დაკითხვის უფლება და მას უარი ეთქვა ამასთან დაკავშირებით.

42. აქედან გამომდინარე, სასამართლოს მიაჩნია, რომ ამ თვალსაზრისით ადგილი არ ჰქონია მე-6 მუხლის დარღვევას.

IV. მე-11 მუხლის საგარეულო დარღვევა

43. ერთ-ერთი განმცხადებლის, დოქტორი ლე კომპტის, მტკიცებით, მის მიმართ დაირღვა მე-11 მუხლი, რომლის თანახმადაც:

„1. ყველას აქვს უფლება მშვიდობიანი შეკრების თავისუფლებასა და სხვებთან გაერთიანების თავისუფლებაზე, თავისი ინტერესების დასაცავად პროფესიული კავშირების შექმნისა და მასში გაერთიანების უფლების ჩათვლით.

2. დაუშვებელია რაიმე შეზღუდვის დაწესება ამ უფლებათა განხორციელებაზე, გარდა იმისა, რაც გათვალისწინებულია კანონით და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული უშიშროების ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესებისათვის, უწესრიგობის ან დანაშაულის თავიდან აცილებისათვის, ჯანმრთელობის ან ზნეობის ან სხვათა უფლებათა და თავისუფლებათა დაცვისათვის. ეს მუხლი ხელს არ უშლის შეიარაღებული ძალების, პოლიციის ან სახელმწიფო ადმინისტრაციის წევრების მიერ ამ უფლებათა განხორციელებაზე კანონიერი შეზღუდვების დაწესებას.“

დოქტორი ლე კომპტის მტკიცებით, *Ordre des médecins*-ში გაწევრიანების ვალდებულებამ (იხ. ზემოხსენებული *Le Compte, Van Leuven and De Meyere*-ს საქმეზე გამოტანილი განაჩენი, სერია A №43, გვ. 12, პუნქტი 21) ხელყო მისი გაერთიანების თავისუფლება – რომელიც გულისხმობს თავისუფლებასაც, არ გაერთიანდეს – და გადასცილდა მე-11 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული შეზღუდვების ფარგლებს; უფრო მეტიც, მისივე თქმით, თვით *Ordre*-ს არსებობა დამაბრკოლებელ ზეგავლენას ახდენდა გაერთიანების თავისუფლებაზე.

გაითვალისწინა რა აზრი, რომელიც მან გამოთქვა ექიმების ლე კომპტის, ვან ლეუვენისა და დე მეიერის №6878/75 და №7238/75 განაცხადებთან დაკავშირებით (იხ. ზემოხსენებული განაჩენი, 1981 წლის 23 ივნისი, სერია A №43, გვ. 26, პუნქტი 63), კომისიამ არამიზანშეწონილად მიიჩნია, რომ წინამდებარე საქმეში მოესმინა ახალი არგუმენტაცია მე-11 მუხლთან დაკავშირებით. ამიტომ მხარეებმა მიუთითეს კომისიისა და სასამართლოს წინაშე წარდგენილ თავიანთ წინა მტკიცებულებებზე. 1982 წლის 27 სექტემბრის მოსმენის დროს სასამართლოს წინაშე გამოცხადებული პირები – განსაკუთრებით კი დოქტორი ლე კომპტის ადვოკატი – აღარ დაუბრუნდნენ ამ საკითხს.

44. სასამართლო ვერ ხედავს საფუძველს, გადაუხვიოს თავის გადაწყვეტილებას, რომელიც მან მიიღო ამავე საკითხთან დაკავშირებით 1981 წლის 23 ივნისს (*ibid.*, გვ. 26-27, პუნქტები 64-66). საკმარისია იმის გახსენება, რომ *Ordre des médecins*-ი არ შეიძლება მიჩნეული იქნეს ასოციაციად მე-11 მუხლის მნიშვნელობით; რომ *Ordre*-ს არსებობას და, აქედან გამომდინარე, პრაქტიკოსების ვალდებულებას, ჩაეწერონ მის რეესტრში და დაექვემდებარონ მისი ორგანოების ძალაუფლებას, აშკარად არა აქვს მე-11 მუხლით დაცული უფლების შეზღუდვის და, მით უმეტეს, ჩამორთმევის არც მიზანი და არც შედეგი; და რომ ამიტომ არ არსებობს მიზეზი იმისთვის, რომ საქმე განხილული იქნეს

მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე ანდა დადგინდეს, აღიარებს თუ არა კონვენცია გაერთიანების თავისუფლებას.

V. 50-ე მუხლის გამოყენება

45. სასამართლო მოსმენის დროს დოქტორი ლე კომპტის ადვოკატმა თხოვნით მიმართა სასამართლოს, რომ კონვენციის დარღვევის დადგენის შემთხვევაში მისი კლიენტისათვის მიეცათ სამართლიანი დაკმაყოფილება 50-ე მუხლის შესაბამისად. თუმცა, მისი აზრით, საკითხი ჯერ კიდევ არ იყო საკმარისად განხილული იმისათვის, რომ გადაწყვეტილება მიღებულიყო.

თავის მხრივ, კომისიის დელეგატებმა სთხოვეს სასამართლოს, გადაედო ამ საკითხთან დაკავშირებით დადგენილების გამოტანა იმ შემთხვევაში, თუ დოქტორი ალბერი ან მისი ადვოკატი არ წარადგენდნენ რაიმე მტკიცებულებას.

მთავრობას არ წამოუყენებია რაიმე არგუმენტაცია ხსენებულ საკითხთან დაკავშირებით.

46. აქედან გამომდინარე, მართალია, საკითხი წამოჭრილი იყო სასამართლოს რეგლამენტის 47-ე მუხლის შესაბამისად, იგი ჯერ კიდევ არ არის საკმარისად განხილული გადაწყვეტილების მისაღებად და საჭიროა დამატებითი განხილვა; საქმის გარემოებების გათვალისწინებით სასამართლო მიიჩნევს, რომ საკითხი უნდა დაუბრუნდეს პალატას სასამართლოს რეგლამენტის 50-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად.

ზემოსხენებულიდან გამომდინარე, სასამართლო

1. ერთხმად ადგენს, რომ ადგილი არ ჰქონია კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევას დოქტორ ლე კომპტთან მიმართებაში;

2. ადგენს თექვსმეტი ხმით ოთხის წინააღმდეგ, რომ მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი ორივე განმცხადებლის საქმის (ფრანგულად: *cause*) მოსმენას მიესადაგება;

3. ადგენს თექვსმეტი ხმით ოთხის წინააღმდეგ, რომ ადგილი ჰქონდა მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის დარღვევას იმ თვალსაზრისით, რომ განმცხადებელთა საქმეები (ფრანგულად: *causes*) არ იქნა მოსმენილი საჯაროდ სააპელაციო საბჭოს მიერ და რომ ამ უკანასკნელმა განაჩენი საჯაროდ არ გამოაცხადა;

4. ადგენს ერთხმად, რომ ადგილი არ ჰქონია მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის დარღვევას განმცხადებლების სხვა საჩივრებთან მიმართებაში, ადგილი არ ჰქონია არც მე-11 მუხლის დარღვევას ბ-ნ ლე კომპტთან მიმართებაში;

5. ადგენს ერთხმად, რომ საკითხი 50-ე მუხლის გამოყენების თაობაზე ჯერ არ არის საკმარისად განხილული გადაწყვეტილების მისაღებად;

შესაბამისად,

(ა) მთლიანად სამომავლოდ დებს აღნიშნულ საკითხს;

(ბ) ხსენებულ საკითხს უბრუნებს პალატას სასამართლოს რეგლამენტის 50-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად.

შესრულებულია 1983 წლის 10 თებერვალს სტრასბურგში, ადამიანის უფლებათა შენობაში, ფრანგულ და ინგლისურ ენებზე. ფრანგული ტექსტი ავთენტურია.

ხელმოწერა: ჯერარდ ვიარდა,
პრეზიდენტი

ხელმოწერა: მარკ-ანდრე ეისენი,
რეგისტრატორი

წინამდებარე განაჩენს თან ერთვის ბ-ნ თორ ვილიალმსონის განცხადება და, კონვენციის 51-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და სასამართლოს რეგლამენტის 50-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, შემდეგი მოსამართლეების განსხვავებული აზრები:

- ბ-ნ კრემონასა და ქ-ნ ბინდშედლერ-რობერტის ერთობლივი თანმხვედრი აზრი;
- ბ-ნ ლისჩის განსხვავებული აზრი;
- ბ-ნ მატსჩერის ნაწილობრივ განსხვავებული აზრი;
- ბ-ნ პინეირო ფარინას ნაწილობრივ განსხვავებული აზრი;
- სერ ვინსენტ ევანსის ნაწილობრივ განსხვავებული აზრი.

ინიციალები: ჯ. ვ.
ინიციალები: მ.-ა.ე.

მოსამართლე თორ ვილიალმსონის განცხადება

წინამდებარე საქმეში ჩემი ხმა განსხვავდება ხმისაგან, რომელიც მივეცი *Le Compte, Van Leuven and De Meyere*-ს საქმეზე. ეს ცვლილება განპირობებულია ამ საქმესთან დაკავშირებით უმრავლესობის გადაწყვეტილებით.

მოსამართლე კრემონასა და მოსამართლე ბინდშედლერ-რობერტის საერთო თანმხვედრი აზრი

ჩვენ ვეთანხმებით განაჩენის დადგენილებით ნაწილში ჩამოყალიბებულ ყველა დასკვნას.

ისევე, როგორც ჩვენი კოლეგების უმრავლესობა, კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლ პუნქტთან დაკავშირებით მივედით დასკვნამდე, რომ წინამდებარე საქმეში ორივე განმცხადებელთან მიმართებაში ადგილი აქვს ამ დებულების დარღვევას. მაგრამ რაც შეეხება მოცემულ საქმეზე ამ დებულების გამოყენების საკითხს, უმრავლესობისაგან განსხვავებით, ვეყრდნობით სხვა საფუძვლებს. ფაქტობრივად, საქმის გარემოებათა (რომლებიც ანალოგიურია *Le Compte, Van Leuven and De Meyere*-ს საქმისა) გათვალისწინებით და ჩვენს საერთო განსხვავებულ აზრში (თან ერთვის ხსენებულ საქმეზე სასამართლოს განაჩენს) ჩამოყალიბებული მიზეზების საფუძველზე მიგვაჩნია, რომ სამართალწარმოება, რომელთან დაკავშირებითაც ჩვიან განმცხადებლები, ეხება არა სამოქალაქო უფლებათა და მოვალეობათა დადგენას, არამედ, როგორც ეს ახსნილია ხსენებულ განსხვავებულ აზრში, სისხლისსამართლებრივი ბრალდების დადგენას მე-6 მუხლის მნიშვნელობით.

და ბოლოს, იმისათვის, რომ თავიდან ავიცილოთ გამეორება, წინამდებარე საქმის მიზნებისათვის საკმარისად მიგვაჩნია ზემოხსენებულ განსხვავებულ აზრზე მითითება.

მოსამართლე ღისჩის განსხვავებული აზრი

Alber and Le Compte-ს საქმეზე გამოტანილი განაჩენი უფრო მეტად მარწმუნებს *Le Compte, Van Leuven and De Meyere*-ს საქმესთან დაკავშირებით ჩემს მიერ გამოთქმულ განსხვავებულ აზრში.

კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი არ მიესადაგება დისციპლინარულ საქმეებს.

დისციპლინარული სამართალწარმოების ერთადერთი მიზანი ის არის, რომ დაადგინოს, დაირღვა თუ არა პროფესიული ქცევის წესი. დავა (*contestation*), კამათი, *a priori* ეხება არა სამედიცინო საქმიანობის გაგრძელების უფლებას, არამედ მხოლოდ იმ საკითხს, არის თუ არა პრაქტიკოსი ექიმის საქციელი იმგვარი, რომ განაპირობოს დისციპლინარული სანქციის შეფარდება.

ამ დავის ფარგლებში არ ფიგურირებს კერძო სამართლის ელემენტი.

1971 წლის 16 ივლისს *Ringeisen*-ის საქმეზე მიღებული განაჩენის მეტისმეტად ფართო ინტერპრეტაცია წარმოშობს მცდარ შეხედულებას.

კონკრეტული საქმე მიჩნეულია ძირითად გადაწყვეტილებად და განსხვავებული სახის გარემოებებსაც მიესადაგება.

ფაქტობრივი მხარის თვალსაზრისით ხსენებულ განაჩენში სასამართლომ განაცხადა, რომ „ფრანგული გამოთქმა *contestations sur (des) droits et obligations de caractère civil* მოიცავს ყველა სამართალწარმოებას, რომელთა შედეგი გადამწყვეტია პირადი უფლებებისა და მოვალეობებისათვის, და რომ „ინგლისური ტექსტი – „სამოქალაქო უფლებებისა და მოვალეობების ... დადგენა“ – ადასტურებს ამ ინტერპრეტაციას“ (სერია A №13).

ხსენებული პრინციპის მოქმედების სფეროს შეფასებისას არსებითია, რომ ზემოთ ციტირებული ნაწყვეტი წაკითხული იქნეს 94-ე პუნქტის ბოლო ქვეპუნქტთან ერთად, რომელშიც სასამართლო იყენებს თავის პოსტულატს საქმის კონკრეტულ ფაქტებთან მიმართებაში: „მართალია, გამოყენებული იყო ადმინისტრაციული სამართლის ნორმები, რეგიონული კომისიის გადაწყვეტილება გადამწყვეტი უნდა ყოფილიყო რინგეისენისა და რუტების წყვილს შორის სამოქალაქო სამართლის ურთიერთობებისათვის (*de caractère civil*).“

სავალდებულო იყო, რომ ადმინისტრაციულ გადაწყვეტილებას, დადებითსა თუ უარყოფითს – ყიდვა-გაყიდვის კონტრაქტის დადასტურებასა თუ უარყოფას – ნებისმიერ შემთხვევაში უშუალო ზეგავლენა მოეხდინა სამოქალაქო უფლებებსა და მოვალეობებზე; ნებისმიერ შემთხვევაში სამოქალაქო უფლების შედეგი დამოკიდებული იყო აღმასრულებელი და ადმინისტრაციული ორგანოების მიერ მიღებულ ღონისძიებებზე.

ამგვარად, გადაწყვეტილების გარდაუვალი შედეგი ადასტურებდა, ცვლიდა ან აუქმებდა სამოქალაქო უფლებებსა თუ მოვალეობებს.

სასამართლოს შემდგომში მიეცა საშუალება, განეცხადებინა, რომ „ამიტომ ნაკლებად მნიშვნელოვანია იმ კანონმდებლობის ხასიათი, რომელიც არეგულირებს, თუ როგორ

უნდა იქნეს გადაწყვეტილი საკითხი (სამოქალაქო, კომერციული, ადმინისტრაციული სამართლის და ა.შ.), აგრეთვე, იმ ხელისუფლების ხასიათი, რომელსაც აქვს საქმის განხილვის იურისდიქცია (საერთო სასამართლო, ადმინისტრაციული ორგანო და ა.შ.)“.

მაგრამ სიტუაცია წინამდებარე საქმეში არ არის იგივე.

პროვინციის საბჭოს გადაწყვეტილება შესაძლოა გადამწყვეტი ყოფილიყო კერძოსამართლებრივი ურთიერთობებისათვის, მაგრამ ეს აუცილებელი არ იყო. ამ საქმეში დისციპლინარული სამართალწარმოება, განსხვავებით ადმინისტრაციული სამართალწარმოებისაგან *Ringeisen*-ის საქმეზე, გარდაუვალად არ ახდენდა ზეგავლენას სამოქალაქო უფლებებსა და მოვალეობებზე.

პროვინციის საბჭოს განმცხადებლებისთვის მხოლოდ, მაგალითად, საყვედური რომ შეეფარდებინა, სამართალწარმოების შედეგი არ იქნებოდა გადამწყვეტი, ვინაიდან უშუალოდ განსახილველი საკითხი პრაქტიკის განხორციელების უფლება არ იქნებოდა.

ჩემი აზრით, წინამდებარე ფაქტებს მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი არ მიესადაგება.

მოსამართლე მატშერის ნაწილობრივ განსხვავებული აზრი

Le Compte, Van Leuven and De Meyere-ს საქმეზე (1981 წლის 23 ივნისის განაჩენი, სერია A №43, გვ. 34-38) ნაწილობრივ განსხვავებულ აზრში მე ფართოდ ჩამოვყალიბე მიზეზები, რომლებმაც, ჩემდა სამწუხაროდ, განაპირობა კოლეგების უმრავლესობისაგან განსხვავებული აზრი დისციპლინარულ საქმეებთან მიმართებაში კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის გამოყენების საკითხთან დაკავშირებით, რამდენადაც ამგვარი საქმეები შესაძლებელია ხვდებოდეს სამოქალაქო სამართლებრივი საკითხების ცნებაში ხსენებული მე-6 მუხლის მიზნებისათვის. ვინაიდან წინამდებარე საქმის გარემოებები არსებითად იგივეა, არ შემოიძლია არ დავადასტურო ჩემი წინა განსხვავებული აზრი იმ საქმის ძირითადი გარემოებების მოშველიებით. უფრო მეტიც, წინამდებარე საქმეში უმრავლესობა, ძირითადად, შემოიფარგლა კვლავ იმ პოზიციაზე მითითებით, რომელიც წინა საქმეში გამოხატა, განხილვის ან თუნდაც საწინააღმდეგო არგუმენტების ჩამოყალიბების ყოველგვარი მცირეოდენი მცდელობის გარეშე.

წინამდებარე საქმის სხვა საკითხების განხილვისას, ძირითადად, ვიცავ იმ პოზიციას, რომელიც ცალსახად ეთანხმება *Le Compte, Van Leuven and De Meyere*-ს საქმეზე გამოხატულ პოზიციას, მთლიანად ვეთანხმები სასამართლოს ერთხმად მიღებულ დასკვნებს.

კვლავ ვწუხვარ, რომ სასამართლომ არ ჩათვალა აუცილებლად საქმის სისხლისსამართლებრივი კუთხით განხილვა.

Le Compte, Van Leuven and De Meyere-ს საქმეზე ჩემი განსხვავებული აზრის ძირითადი საკითხები შემდგომში მდგომარეობს:

1. განმცხადებელთა უფლება სამედიცინო პრაქტიკის განხორციელებაზე არ იყო “*Ordre*“-ს იურისდიქციული ორგანოებსა და საკასაციო სასამართლოში მათ წინააღმდეგ მიმართული დისციპლინარული სამართალწარმოების არც ობიექტი და არც ერთ-ერთი ობიექტი. ამ სამართალწარმოების ობიექტი (როგორც ზოგადად დისციპლინარული სამართალწარმოებისა) იყო ის საკითხი, დაარღვიეს თუ არა განმცხადებელმა

სამედიცინო პროფესიის ქცევის წესები და, თუ დაარღვიეს, მათთვის შესაბამისი სანქციის შეფარდება. მხოლოდ ამ სანქციამ ხელყო კონკრეტულ გარემოებებში მათი პროფესიული მგდომარეობა და, ამგვარად, უშუალო ზეგავლენა მოახდინა კერძოსამართლებრივ ურთიერთობებზე, რომლებიც შესაძლოა განმცხადებლებს ჰქონოდათ თავიანთ პაციენტებთან. მაგრამ უშუალოდ ამგვარი ურთიერთობები არ ყოფილა შესაბამისი დისციპლინარული სამართალწარმოების შედეგი.

კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი („სამოქალაქო“ ნაწილში) ეხება მხოლოდ იმგვარ სამართალწარმოებას, რომლის ობიექტია „დავები“ (*contestations*) „სამოქალაქო უფლებებსა და მოვალეობებთან“ დაკავშირებით („ყველა სამართალწარმოება, რომელთა შედეგი გადამწყვეტია პირადი უფლებებისა და მოვალეობებისათვის“, *Ringeisen*-ის საქმეზე გამოტანილ განაჩენში გამოყენებული ფორმულირება), მაშინ, როდესაც უბრალო ფაქტი, რომ სამართალწარმოების შედეგს შეეძლო არაპირდაპირი ზეგავლენა მოეხდინა ამგვარ უფლებაზე, არ არის საკმარისი, რომ ხსენებული სამართალწარმოება იმ კატეგორიაში განიხილებოდეს, რომელსაც იცავს კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი.

2. წინამდებარე საქმეში არც სამოქალაქო უფლებასთან დაკავშირებულ „დავას“ (*dispute*) ჰქონია ადგილი. სასამართლოს განაჩენი არ ითვალისწინებს პროვინციის საბჭოში განხორციელებულ სამართალწარმოებას, რომელმაც განმცხადებლებს შეუფარდა კონკრეტული სანქცია, და მიიჩნევს, რომ დავა (*dispute*) „წარმოიშვა“ იმ ფაქტის შედეგად, რომ განმცხადებლებმა შეიტანეს სააპელაციო საჩივარი პირველი ინსტანციის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით (იხ. წინამდებარე განაჩენის 34-ე პუნქტის 1-ლი ქვეპუნქტი). ამგვარი მსჯელობა ეფუძნება სააპელაციო სამართალწარმოების ობიექტის შესახებ სრულიად მცდარ შეხედულებას. ფაქტობრივი მხარის თვალსაზრისით, საქმის დავის (*contestation/dispute*) ობიექტი და ხასიათი არ იცვლება იურისდიქციის სხვადასხვა სტადიაზე, დამოუკიდებლად იმ არგუმენტაციისგან, საფუძვლებისა და პრეტენზიებისგან, რომლებიც წამოყენებულია აპელაციის დროს: თუ სამართალწარმოება პროვინციის საბჭოში არ ისახავდა მიზნად სამოქალაქო უფლებებთან და მოვალეობებთან დაკავშირებული დავის დადგენას, ეს არ შეიძლებოდა სხვაგვარად ყოფილიყო სააპელაციო საბჭოსა და საკასაციო სასამართლოში განხორციელებული სამართალწარმოების მიმართ. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, „დავა“ (*dispute*) დასაწყისიდანვე ხსენებული სამართალწარმოების ობიექტს წარმოადგენდა, ანუ შეუსაბამო იყო; იგი არ შეიძლება „წარმოშობილიყო“ (იხ. წინამდებარე განაჩენის 34-ე პუნქტის 1-ლი ქვეპუნქტი) სააპელაციო ან საკასაციო სამართალწარმოების დროს.

3. განაჩენი, ცდილობს რა თავისი სფეროს შეზღუდვას, შემოიფარგლება იმის დადგენით, რომ სამედიცინო პროფესიის განხორციელების უფლება, ექიმის მიერ კერძო პრაქტიკის წარმოების სახით, ხვდება მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტით დაცული უფლებების სფეროში. ჩემი მხრივ, ამ თვალსაზრისით ვერ ვხედავ რაიმე რაციონალურ შესაძლებლობას, რომ განვასხვავოთ ერთმანეთისაგან სამედიცინო პრაქტიკის განხორციელების უფლება ექიმისთვის კერძო პრაქტიკის წარმოებისას და პროფესიის განხორციელების უფლება, მაგალითად, საჯარო მოსამსახურისთვის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის სფეროში ან დაქირავებულისათვის, რომელიც იღებს ხელფასს, და, ზოგადად, სამედიცინო საქმიანობის წარმოების თუ ნებისმიერი სხვა პროფესიის განხორციელების უფლება. თუ ეს მტკიცება მართებულია, იგი უნდა ექვემდებარებოდეს განზოგადებას ან, უფრო ზუსტად, თუ ჩემი დასკვნა სწორია, ის ძალაში უნდა იყოს არა მარტო კონკრეტული საქმის შემთხვევაში, არამედ ყველა სიტუაციაში, სადაც იგივე ძირითადი წინაპირობები არსებობს.

ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით მხოლოდ შემდეგი დასკვნის გაკეთება შესაძლებელია: მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტით დაცული უფლებები მოიცავს ნებისმიერი პრაქტიკის განხორციელების უფლებას. შეეძლოთ კი კონვენციის ავტორებს, მე-6 მუხლი მხოლოდ ამგვარ ჩარჩოებში მოექციათ? მე მიმაჩნია, რომ ამგვარი მტკიცების დროს სასამართლო სცილდება კონვენციის „ევოლუციური“ ინტერპრეტაციის ფარგლებს, რაც განსაკუთრებით მიზანშეწონილია მაშინ, როდესაც კონვენცია იყენებს ზოგად და განუსაზღვრელ ტერმინებს (მაგალითად, „აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში“), რომელთა ინტერპრეტაცია შესაძლებელია წევრ სახელმწიფოებში სოციალური კონცეფციების ევოლუციის შესაბამისად.

უფრო მეტიც, იმ ფაქტს, რომ განაჩენი თავს იკავებს ამ დასკვნის – ერთადერთი დასკვნის, რომელიც მართლზომიერად გამომდინარეობს მისი ძირითადი წინაპირობებიდან – აშკარა გაცხადებისაგან და უპირატესობას ანიჭებს საკითხის ბუნდოვნად დატოვებას, მიყვარათ სამართლებრივი გაურკვევლობისკენ, რაც განსაკუთრებით სერიოზული საკითხია ყველა წევრ სახელმწიფოში არსებული სიტუაციებისა და პრობლემების გათვალისწინებით.

4. და ბოლოს, განაჩენის შედეგია საჯაროობის არარსებობის გამო დარღვევის დადგენა იმ საქმეებში, რომლებშიც არანაირად არ აღინიშნებოდა პროცედურული გარანტიების მიზანი, მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი რომ ემსახურება, როდესაც მოითხოვს საჯარო მოსმენას და განაჩენის საჯაროდ გამოცხადებას (შესაბამისად, დარღვევის დადგენა მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის დებულებების მხოლოდ ფორმალური დარღვევის გამო); ეს მაძლევს კიდევ ერთ საფუძველს განცხადებისათვის, რომ კონვენციის მე-6 მუხლი არ მიესადაგება აღნიშნულ საქმეებს.

მოსამართლე პინიერო ფარინას ნაწილობრივ განსხვავებული აზრი (თარგმანი)

ჩემდა სამწუხაროდ, არ შემიძლია გავიზიარო მოსაზრება, რომელიც ჩემი კოლეგების უმრავლესობამ გამოხატა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლთან დაკავშირებით.

ფაქტობრივად:

1. *Ordre*-ს დისციპლინარულ ორგანოებში არ განხილულა კერძოსამართლებრივი ურთიერთობები, რომლებიც დოქტორმა ალბერმა და დოქტორმა ლე კომპტმა თავიანთ პაციენტებთან დაამყარეს.

2. დავა (*dispute*) დისციპლინარულ ორგანოებში (პროვინციისა და სააპელაციო საბჭოებში), შემდგომში კი საკასაციო სასამართლოში ეხებოდა მხოლოდ პროფესიული ქცევის საკითხებს. ეს საკითხი კი სცილდება სამოქალაქო სამართლის ფარგლებს.

3. განმცხადებელთა საქმე ეხება მხოლოდ პროფესიული ქცევის წესების დარღვევას და ამიტომ, ჩემი აზრით, მას არ მიესადაგება მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი (რაც უკვე აღნიშნე განსხვავებულ აზრში *Le Compte, Van Leuven and De Meyere*-ს საქმეზე).

4. დასასრულს, მე ვთვლი, რომ ადგილი არ ჰქონია კონვენციის მე-3, მე-6 და მე-11 მუხლების დარღვევას.

სერ ვინსენტ ევანსის ნაწილობრივ განსხვავებული აზრი

ვეთანხმები სასამართლოს განაჩენს, რომ ადგილი არ ჰქონია კონვენციის მე-3 და მე-11 მუხლების დარღვევას.

თუმცა ვწახვარ, რომ არ ვეთანხმები სასამართლოს უმრავლესობის დასკვნას, რომ ადგილი ჰქონდა მე-6 მუხლის დარღვევას. იმ მიზეზების გამო, რომლებიც უკვე ჩამოვყალიბე განსხვავებულ აზრში *Le Compte, Van Leuven and De Meyere*-ს საქმეზე და რომელთა გამეორება ამიტომ არ არის საჭირო, მიმაჩნია, რომ წინამდებარე საქმეს არ მიესადაგება მე-6 მუხლი, ვინაიდან სამართალწარმოება, რომელთან დაკავშირებითაც ჩივიან განმცხადებლები, არ ეხება არც სამოქალაქო უფლებათა და მოვალეობათა და არც სისხლისსამართლებრივი ბრალდების დადგენას მე-6 მუხლის მნიშვნელობით.